5. ქ.თბილისში,საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.008.295, №01.72.14.008.244, №01.72.14.008.245, ასევე დაურეგისტრირებელი სივრცე) მრავალფუნქციური კომპლექსის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო, სპორტულ–გამაჯანსაღებელი ობიექტები, სარეკრეაციო სივრცე/პარკი – შესაბამისი ინფრასტრუქტურით) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ (12-031731430-03 – AR1546826)

კომისიამ განიხილა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.008.295; №01.72.14.008.244; №01.72.14.008.245, ასევე დაურეგისტრირებელი სივრცე) მრავალფუნქციური კომპლექსის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები, სარეკრეაციო სივრცე/პარკი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით) პროექტის დასამუშავებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1546826. 05.10.2017წ. განაცხადი)

წერილი №12-031731430 03 10.11.2017წ. AR1546826 - განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება შესწავლილი და მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში. მოიცავს 3 დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიას. საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო ფართობია 98 454.3 კვ.მ, აქედან საკადასტრო ერთეულების ჯამური ფართობია 77 000 კვ.მ. საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია მრავალფუნქციური კომპლექსის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები, სარეკრეაციო სივრცე/პარკი შესაბამისი ინფრასტრუქტურით) განთავსება. ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ 2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ 1) და გარემოს დაცვის ზონა 3 (გდზ-3); საპროექტოდ იგეგმება ტერიტორიის საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ით განვითარება. ტერიტორიის ნაწილი ყვება მდ. მტკვრის უჯუბირო ნაწილის ბუფერულ შეზღუდვის ზონაში.

აღინიშნა, რომ მითითებული საპროექტო ტერიტორია არის პრობლემური, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ყვება მდ. მტკვრის უჯუბირო ნაწილის ბუფერული შეზღუდვის ზონაში, დატბორვის გაზრდილი რისკის მატარებელი უმჯობესი იქნებოდა რეკრეაციული ფუნქციით განვითარება. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის განხილვა გადადებულ იქნა. მოთხოვნილ იქნა დამატებითი დასაბუთება განსახორციელებელი პროექტის მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თამარ ბოლოთაშვილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა ნიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ცეცხლაძე.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები:* ***№01.72.14.008.295; №01.72.14.008.244; №01.72.14.008.245;*** *ასევე დაურეგისტრირებელი ტერიტ) მრავალფუნქციური კომპლექსის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები, სარეკრეაციო სივრცე/პარკი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით) პროექტის დასამუშავებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული* ***AR1546826. 05.10.2017წ.*** *განაცხადი) გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

6. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.867; N81.02.05.868; N81.02.05.829) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება (12 031731431-03 – AR1542462)

კომისიამ განიხილა ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.867, N81.02.05.868; N81.02.05.829) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1542462. 20.09.2017წ. განაცხადი)

წერილი №12-031731431-03 - 10.11.2017წ. AR1542462. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება შესწავლილი და მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში. შედგება 3 კერძო მიწის ნაკვეთისგან, საერთო ფართობით 5 800კვ.მ. იგეგმება 3 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. არსებული ფუნქციური ზონაა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ 1) და სასოფლო სამეურნეო ზონა (სოფზ.) პროექტით იგეგმება მთელ ტერიტორიაზე საცხოვრებელ ზონა 1 (სზ 1) ის გავრცელება. ხდება მხოლოდ ერთი მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, 4 მ-ს სიგრძეზე, რომელიც

გამოყენებული იქნება ნაკვეთამდე მისასვლელ გზად და მიენიჭება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ს სტატუსი

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ ბოლოთაშვილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა ნიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ცეცხლაძე

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **N81.02.05.867; N81.02.05.868; N81.02.05.829)** ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე **www.tas.ge** რეგისტრირებული **AR1542462. 20.09.2017**წ. განაცხადი), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

7. „ქ. თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ (12-0318032149-03 – AR1559452).

კომისიამ განიხილა ქ. თბილისში, სოფელ ზემო ლისში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი. №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR1559452 განაცხადი)

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული 2017 წლის 21 ნოემბრის №AR1559452 განცხადებით, შპს „პეანის" დირექტორმა ალექსანდრე ბერძენიშვილმა მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №02.40.69 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით გათვალისწინებული ტერიტორია მდებარეობს ქ.

თბილიში, სოფელ ზემო ლისში. საპროექტო ტერიტორიის ფართობი წარმოადგენს 10000 მ$^{2}$-ს. ტერიტორია გაუნაშენიანებელია, ასევე არ არის გამწვანებული. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი. №72.16.17.427) წარმოადგენს შპს „პასის" საკუთრებას. აღნიშნულ ტერიტორიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის №438 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება სასაწყობე მეურნეობისთვის. საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ), აგრეთვე, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. საპროექტო ტერიტორიის განვითარება იგეგმება დადგენილი ფუნქციური ზონის შესაბამისად, მასში დასაშვები სახეობების მიხედვით-სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი საწყობი გრგ-ს პროექტით მიწის ნაკვეთის გამიჯვნა არ ხდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიის განვითარება იგეგმება მოქმედი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად. ასევე, მიწის ნაკვეთი მდებარეობს უშუალოდ გზის მიჯნაზე და სამომავლოდ მიმდებარე ტერიტორიის განვითარების კონცეფციის შემუშავების შემთხვევაში არ შეუქმნის პრობლემას.

გრგ-ს (წერილი №12-0318032149-03. 01.02 2018წ. AR1559452) საინფორმაციო ბარათის შესაბამისად, პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ ბოლოთაშვილი, ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა ნიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ცეცხლაძე.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროექტზე წინა სხდომაზე (ოქმი №09 - 09.02.2018წ) გამოთქმული იქნა შენიშვნა, სატრანსპორტო სქემებთან და მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ერთიან ხედვებთან დაკავშირებით და მოთხოვნილ იქნა საკითხის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით. საპროექტო ტერიტორიის ადგილზე შესწავლის შედეგად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში, სოფელ ზემო ლისში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ*

*არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული* ***№AR1559452*** *განაცხადი), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

8. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.030) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ (12-031802677-03 – AR1544088)

კომისიამ განიხილა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№01 19 24 007 030) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR1544088 განაცხადი).

გრგ ს (წერილი №12 031802677 03 26.01.2018წ. AR1544088) საინფორმაციო ბარათის შესაბამისად, პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა №27-ში, (საკადასტრო კოდი:№01.19.24.007.030), 19442 კვ.მ. ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა და სპეციალური ზონა 1 თი. იგეგმება სპეციალური ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილება. ტერიტორია სრულყოფილადაა უზრუნველყოფილი სატრანსპორტო კავშირებით, გააჩნია საკუთარი სარკინიგზო განშტოება და კავშირი ორ საუბნო სამანქანო გზასთან, ასევე სიახლოვე კახეთის გზატკეცილთან. ტერიტორიაზე ვრცელდება აეროპორტის შეზღუდვა. დაგეგმვის მიზანია ტერიტორიის კეთილმოწყობა და მასზე სასაწყობე კომპლექსის მოწყობა.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თეიმურ ხოლოდაშვილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა ნიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ცეცხლაძე.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროექტზე წინა სხდომაზე (ოქმი№09 - 09.02.2018წ) გამოთქმული იქნა შენიშვნა, მიმდებარე ტერიტორიების განვითარების ერთიან ხედვებთან დაკავშირებით და მოთხოვნილ იქნა საკითხის გადადება დამატებითი შესწავლის მიზნით საპროექტო ტერიტორიის ადგილზე შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა **№27**-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:**№01.19.24.007.030**) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე* ***www.tas.ge*** *რეგისტრირებული* ***№AR1544088*** *განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

9. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ივნისის №1295028 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №3 ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.333) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/7698 AR1487728)

კომისიამ განიხილა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი. №01 14 03 040 333 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ივნისის №1295028 გადაწყვეტილებით გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1487728. 20.03.2017წ. განაცხადი.

წერილი №04/7698 - 04.07.2017წ AR1487728. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილება გამოწვეულია საპროექტო არეალის და საკადასტრო ერთეულების დაზუსტებით ოფისის და საბავშვო ბაღის ფუნქციის დამატებით. საპროექტო არეალში შემავალი საკადასტრო ერთეულებია შემდეგი საკადასტრო კოდები:№№01.14.03.040.352, 01.14.03.040.352701.14.03.040.356. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 6854 კვ.მ.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროექტზე წინა სხდომაზე (ოქმი №12 - 14.07.2017წ) პროექტის განხილვა გადადებულ იქნა. მოთხოვნილ იქნა დამატებითი დასაბუთება განსახორციელებელი პროექტის მიზანშეწონილობის შესახებ. საპროექტო ტერიტორიის ადგილზე შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თეწურ ხოლოთაშვილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა ნიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ცეცხლაძე.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა **№3**-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **№01.14.03.040.333** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის **2014** წლის **13** ივნისის **№1295028** გადაწყვეტილებით გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული **AR1487728. 20.03.2017**წ. განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

10. ქ.თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ. (04/14470 AR1416017)

განიხილა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1416017. 22.06.2016წ განაცხადი)

წერილი №04/14470 03.08.2016წ. AR1416017. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება შესწავლილი და მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვ. ბოჭორიშვილის და მიროტაძის ქუჩების კვეთაზე. ტერიტორიაზე განთავსებულია მცირე სართულიანი შენობა-ნაგებობები, რომლებიც უსახურია და ექვემდებარება სრულად ახალ განვითარებას. პროექტში გათვალისწინებულია სატრანსპორტო გზები, რომლებიც უერთდება ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს. პროექტში გათვალისწინებულია მიწისქვეშა ავტოსადგომების მოწყობა. 2 ორსართულიანი მცირე ზომის საბავშვო ბაღის შენობა, თავისი სათამაშო მოედნით. ასევე საერთო სარგებლობის გასართობი მოედანი და მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

აღინიშნა, რომ მითითებული საპროექტო ტერიტორია არის პრობლემური, ნორმაზე მეტად არის დატვირთული საცხოვრებელი ფუნქციით, გამორჩეული განაშენიანების მაღალი ინტესივობით და განსაკუთრებით გამწვავებულია სატრანსპორტო გადაადგილება. წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის განხორციელებას ეთქვა უარი.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ ბოლოთაშვილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა ნიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ცეცხლაძე.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული* ***AR1416017. 22.06.2016წ.*** *განაცხადი) გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

II. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ (04/20621 AR1424891)

განიხილა ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1424891. 20.07.2016წ. განაცხადი)

წერილი №04/20621 - 22.12.2016წ. AR1424891 განაშენიანების რეგულირების გეგმა დამუშავებულია გრგ-ს საინფორმაციო ბარათის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მოთხოვნების მიხედვით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, კრწანისში, ქალაქის დასახლებული ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მთლიანობაში ტერიტორია შეადგენს 38 ჰე-ს, და ესაზღვრება დედაქალაქის ისტორიულ ცენტრს. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საცხოვრებელი დანიშნულების ახალი ტიპის

შენობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, არასაცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობები, კომერციული და საოფისე ფართები, საბავშვო ბაღები, სკოლები, სპორტული და საბავშვო მოედნები, სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები და კვების ობიექტები.

წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმის განხორციელებას ტერიტორიულ სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით უარი ეთქვა

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის-სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ ბოლოთაშვილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა ნიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ვეცხლაძე.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, სოფელ შინდისში არსებული მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი **(04/20621- AR1424891)** (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული **AR1424891, 20.07.2016**წ. განაცხადი) გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

12. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49, №49ა ში, თამარაშვილისა და გ. წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ (04/5246 - AR1378998)

კომისიამ განიხილა ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49, №49ა-ში, თამარაშვილისა და გ. წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1378998. 16.02.2016წ განაცხადი).

წერილი №04/15246 - 18.03.2016წ. AR1378998 განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თაობაზე წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, საპროექტო

ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49, №49ა-ში, თამარაშვილისა და გ. წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდი.№№01.14.07.008.095, 01.14.07.008.029, 01.14.07.008.026, 01.14.07.008.120, 01.14.07.008.016, 01.14.07.008.036, 01.14.07.008.028, 01.14.07.008.035, 01.14.07.008.118. აღნიშნულ ნაკვეთებზე მოთხოვნილია დაინტერესებული პირის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემა მრავალფუნქციური კომპლექსისათვის.

წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებას ტერიტორიულ სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით უარი ეთქვა.

სხდომაზე განმარტებებს იძლეოდა და კომისიის წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემურ ბოლოთაშვილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი და სამსახურის წარმომადგენლები გვანცა სიკოლეიშვილი, თამარ კაციტაძე და ეკა ციცხლაძე

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, ი. ჭავჭავაძის გამზ. **№49, №49ა**-ში, თამარაშვილისა და გ. წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული **AR1378998. 16.02.2016**წ. განაცხადი) გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.*

*ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა*

სხდომის თავმჯდომარე — რევაზ სოხაძე